



სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის  
დირექტორი

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**

20

04

2021 წ.

№ 45

ქ. თბილისი

„მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის 2021 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსზე შემოტანილ პროექტთა (კონკურსი №2/3) განმხილველი საექსპერტო კომისიის შექმნის თაობაზე“ სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 13.04.2021 წლის №36 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და „სსიპ - საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საექსპერტო კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 7 აგვისტოს №3/255 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საექსპერტო კომისიის დებულების“ მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად ვბრძანებ:


1.საექსპერტო კომისიის წევრის – ნინა სამანიშვილის მიერ მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის წარმოების დაფინანსების განმხილველი საექსპერტო კომისიის პირადი განცხადებით დატოვების გამო, შევიდეს ცვლილება „მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის 2021 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსზე შემოტანილ პროექტთა (კონკურსი №2/3) განმხილველი საექსპერტო კომისიის შექმნის თაობაზე“ სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 13.04.2021 წლის №36 ბრძანებაში, კერძოდ, შეიცვალოს კომისიის შემადგენლობა და მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის 2021 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსზე შემოტანილ პროექტთა (კონკურსი №2/3) განმხილველი საექსპერტო კომისია ჩამოყალიბდეს 4 წევრის შემადგენლობით:

1. თეიმურაზ სიხარულიძე – ანიმაციის რეჟისორი;
2. ზურაბ დიასამიძე - პროდიუსერი;
3. გიორგი ლაფაური – კინომხატვარი/სცენარისტი;
4. გიორგი გამერზადაშვილი- მხატვარი;

2. დაევალოს საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის (შემდგომში- კინოცენტრი) IT სპეციალისტს დავით ყურაშიძეს წინამდებარე ბრძანების კინოცენტრის ვებ-გვერდზე განთავსება.
3. ბრძანება ძალაშია კინოცენტრის ვებ გვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

საფუძველი: „საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საექსპერტო კომისიის  
წევრის – ნინა სამანიშვილის შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ“  
საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 20.04.2021 წლის №44  
ბრძანება.

დირექტორი



გაბა ჩხეიძე